


# შ.პ.ს. "ოპტიმა"

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაითალოში  
სასემლი წყლის შიდა ქსელის მოწყობა

## პროექტი

/ობიექტის ადგილმდებარეობა/



ფორმატი A-3	განტ. ნომ.	
თარიღი 2021წ.	NAT210005287	
ფაგვამთი:		
მარნეულის მუნიციპალიტეტი		
<b>შ.პ.ს. "ოპტიმა"</b>		
შ.პ.ს. "ოპტიმა" ს/კ 211 373 654 mail: Ltd.optima1998@gmail.com		
შენიშვნა:		
პროექტის სახელწოდება:		
მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაითალოში სასემლი წყლის შიდა ქსელის მოწყობა		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
ლიკავორი	თ. შალია	<i>(Handwritten Signature)</i>
შეასრულა	დ. ბადაშვილი	<i>(Handwritten Signature)</i>
დასახელება:		მასშტაბი:
პროექტი		
სტადია	ფურცელი	ფურცლები
მპ		მპ-20

# განმარტებითი ბარათი

## სარჩევი

1. პროექტის შემადგენლობა
2. ტექნიკური დავალება
3. შესავალი
4. წყლის ხარჯის ანგარიში
5. წყალსადენის ქსელის ჰიდრავლიკური გაანგარიშება
6. ჭაბურღილის ტუმბოს შერჩევა
7. საპროექტო გადაწყვეტა
8. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა
9. მშენებლობის ორგანიზაცია
10. მშენებლობის განხორციელების გეგმა - გრაფიკი
11. სამუშაოთა შესრულების ხარისხის საწარმოო შესრულება
12. უსაფრთხოების ტექნიკა და შრომის დაცვა
13. საჭირო მანქანა მექანიზმები
14. გარემოს დაცვის ღონისძიებები.

## პროექტის შემადგენლობა

პროექტი ითვალისწინებს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაითალოში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას. 357 მ ნიშნულზე სასმელი წყლის არსებული ჭაბურღილისთვის ეწყობა ჭაბურღილში ახალი ჩადირული ტუმბო; ჭაბურღილის მიმდებარედ ეწყობა საქლორატორო, წყალსადაწნეო კოშკი  $W=50 \text{ მ}^3$ ,  $H=10 \text{ მ}$ ; ამავე ადგილას ეწყობა სანიტარული ზონა. ჭაბურღილიდან მოპოვებული წყალი მიეწოდება წყალსადაწნეო კოშკს, საიდანაც სასმელი წყალი მიეწოდება მოსახლეობას საპროექტო გამანაწილებელი ქსელის საშუალებით;

წყალსადენის სისტემის მოწყობის დროს გათვალისწინებულია:

1. 357 მ ნიშნულზე სასმელი წყლის ჭაბურღილისთვის ჭაბურღილში ეწყობა ახალი ჩადირული ტუმბო;
2. საქლორატოროს მოწყობა;
3. წყალსადაწნეო კოშკის მოწყობა  $W=50 \text{ მ}^3$   $H=10 \text{ მ}$ ;
4. სანიტარული ზონის მოწყობა;

5. წყალსადენის გამანაწილებელი ქსელზე ახალი უბნების მოწყობა PE100 pn10 მილებით;

## ტექნიკური დავალება

N	ძირითადი სამუშაოები
1	2
1	სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა - სტანდარტების შესაბამისად
2	100 მოსახლეზე სასმელი წყლის მრიცხველების მოწყობა
3	სადაწნეო კოშკის მოწყობა 50 მ <sup>3</sup> -იან ავზით

## შესავალი

ბაითალო — სოფელი საქართველოში, ქვემო ქართლის მხარის მარნეულის მუნიციპალიტეტში, კასუმლოს თემში. მდებარეობს მარნეულის ვაკეზე, მდინარე დებედის მარჯვენა ნაპირას. ზღვის დონიდან 350 მეტრზე, მარნეულიდან დაშორებულია 20 კილომეტრით. საპროექტო უბანზე ცხოვრობს 100 კომლი, დაახლოებით 400 მოსახლე.

წყლის ხარჯის ანგარიში									
საპროექტო უბანზე მოსახლეობის რაოდენობაა					100	კომლი			
დაახლოებით					400	მოსახლე			
სოფლის საპროექტო უბანზე წყლის ხარჯის საანგარიშოდ ვიღებთ:									
480 მოსახლეს; რაც გრძელვადიან პერიოდში შეესაბამება დაახლოებით					20%	მატებას;			
სასმელ-სამეურნეო დანიშნულებისათვის წყლის ხარჯის ნორმა ერთ სულ მოსახლეზე ს.ნ. და წ.-ის 2.1 პუნქტის მიხედვით (160-230 ლ/დღე-ერთ სულზე) კეთილმოწყობის ხარისხიდან გამომდინარე ვიღებთ									
q=					200	ლ/დღე - ერთ სულზე; სასოფლო სამეურნეო დანიშ-			
ნულებისათვის ს.ნ. და წ.-ის მიხედვით 50-90 ლ/ერთ სულ მოსახლეზე, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ვიღებთ:									
50					ლ/სულზე. დღ.დ				
$Q_{საშ.დღ.დ.} = (N * q) / 1000 = 480 * 0.25 = 120$ მ3/დღ.დ									
დღე-ღამური უთანაბრობის კოეფიციენტის გათვალისწინებით									
$K_{მაქს.დღ.დ.} = 1.2$					გვექნება:				
$Q_{მაქს.დღ.დ.} = Q_{საშ.დღ.დ.} * K_{მაქს.დღ.დ.} = 144$					მ <sup>3</sup> /დღ.დ				
საიდანაც ვლებულობთ:									
$q_{საშ.სთ} = Q_{მაქს.დღ.დ.} / 24 = 6$					მ <sup>3</sup> /სთ $\approx 1.67$ ლ/წმ				
საათური უთანაბრობის კოეფიციენტის გათვალისწინებით ს.ნ. და წ. 2.04.02-84* ცხ. 2									
$\alpha = 1.3$					$\beta = 2.55$				
$K_{სთ} = \alpha * \beta = 3.32$					გვექნება:				
$q_{მაქს.სთ} = q_{საშ.სთ} * K_{სთ} = 1.67 * 3.32 = 5.53$					ლ/წმ				

გამანაწილებელი ქსელის ჰიდრავლიკური გაანგარიშება													
მაქსიმალური წყალმომარაგება													
მონაცემები უბნების შესახებ						მონაცემები კვანძების შესახებ							
უბნის N	სიგრძე (მ)	დიამეტრი (მმ)	მილის მასალა	წყლის ხარჯი (ლ/წმ)	დაწვევის დანაკარგი (მ)	სიჩქარე (მ/წმ)	კვანძი	მიწის ნიშნული	თავისუფალი დაწვევა	ჰაუზობეტრიული ნიშნული	კვანძური ხარჯი (ლ/წმ)		
												N	ს.კ.
1	1	2	152	110	p10	4.76	0.900	0.64	2	358.10	8.40	366.5	0.41
2	2	3	232	40	p10	0.15	0.300	0.16	3	358.60	7.60	366.2	0.15
3	2	4	255	110	p10	4.17	1.100	0.56	4	358.50	6.90	365.4	0.31
4	4	5	111	90	p10	1.42	0.200	0.29	5	358.90	6.30	365.2	0.57
5	5	6	180	63	p10	0.46	0.300	0.19	6	359.30	5.60	364.9	0.29
6	6	7	83	32	p10	0.05	0.005	0.08	7	359.00	5.90	364.9	0.05
7	6	8	181	50	p10	0.12	0.004	0.08	8	359.40	5.50	364.9	0.12
8	5	9	295	75	p10	0.19	0.100	0.06	9	360.10	5.00	365.1	0.19
9	5	10	300	63	p10	0.19	0.100	0.08	10	358.80	6.30	365.1	0.19
10	4	11	120	110	p10	2.62	0.300	0.35	11	357.30	7.80	365.1	0.38
11	11	15	105	75	p10	1.38	0.400	0.40	12	357.30	7.80	365.1	0.07
12	15	16	135	32	p10	0.09	0.300	0.15	13	357.50	7.60	365.1	0.02
13	15	17	24	75	p10	1.12	0.100	0.33	14	357.70	7.40	365.1	0.02
14	17	18	215	32	p10	0.14	0.900	0.23	15	356.70	8.00	364.7	0.17
15	17	19	375	63	p10	0.59	0.800	0.25	16	357.80	6.60	364.4	0.09
16	19	20	94	40	p10	0.06	0.003	0.06	17	356.60	8.00	364.6	0.39
17	19	21	330	32	p10	0.11	0.900	0.18	18	355.60	8.10	363.7	0.14
18	11	12	45	50	p10	0.11	0.000	0.07	19	353.00	10.80	363.8	0.41
19	12	13	35	32	p10	0.02	0.000	0.03	20	352.10	11.70	363.8	0.06
20	12	14	33	32	p10	0.02	0.000	0.03	21	351.30	11.60	362.9	0.11
21	11	22	317	63	p10	0.74	1.000	0.31	22	335.60	28.50	364.1	0.46
22	22	23	362	32	p10	0.12	1.200	0.19	23	353.00	9.90	362.9	0.12
23	22	24	216	40	p10	0.14	0.300	0.15	24	356.30	7.50	363.8	0.14
24	1	25	35	75	p10	0.56	0.000	0.16	25	358.10	9.30	367.4	0.2
25	25	26	60	32	p10	0.04	0.100	0.06	26	358.10	9.20	367.3	0.04
26	25	27	55	32	p10	0.04	0.100	0.06	27	358.10	9.20	367.3	0.04
27	25	28	160	63	p10	0.27	0.100	0.11	28	356.80	10.50	367.3	0.18
28	28	29	240	32	p10	0.08	0.400	0.13	29	356.4	10.50	366.9	0.08

წყალსადენის მაგისტრალის ჰიდრავლიკურ გაანგარიშებას ვაწარმოებთ მაქსიმალურ საათურ ხარჯზე. გათვალისწინებულია  $K_{ადგ}=1,05$  ადგილობრივი წინაღობების კოეფიციენტი.

### ჭაბურღილის ტუმბოს შერჩევა

დაწვევის დანაკარგი ამომყვან მილში ტოლია:

$$\Delta h = K_{ადგ} \times (L \times 1000i) / 1000 = 1,15 \times 50 \times 22,3 / 1000 \approx 1,3 \text{ მ.}$$

სადაც L და 1000i – არის ჭაბურღილიდან ამომავალი დამწნეხი მილის სიგრძე დაწვევის დანაკარგი ამავე მილში ყოველ 1000 მეტრ სიგრძეზე;  $K_{ადგ}$  - არის კოეფიციენტი რომელიც ითვალისწინებს დაწვევის დანაკარგს ადგილობრივ წინაღობებზე (გარკვეული სიფრთხილით ვიღებთ 1,15-ს)

$$H_{ტ} = H_{გომ} + \Delta h + H_3 = 35 + 1,3 = 36,30 \approx 40 \text{ მ.}$$

სადაც  $H_{\text{გომ}}$  არის გეომეტრიული დონეთა სხვაობა ჭაბურღილის ტუმბოს ღერძსა წყალსადაწნეო კომპის ზედა ნიშნულს შორის.

ტუმბოს დეტალური შეჩვევა უნდა განხორციელდეს ჭაბურღილის გაბურღვის და ჭაბურღილის საპასპორტო მონაცემების შექმნის შემდგომ ამ ეტაპისთვის ხარჯთაღრიცხვის მიახლოებითი დათვლის მიზნით, ჰიდროგეოლოგიური დასკვნისა და ჰიდრაულიკური ანგარიშების საფუძველზე ჭაბურღილის ტუმბოს პარამეტრებად შერჩეული იქნა მაღალი ხარისხის სერთიფიცირებული ტუმბო აწვევის სიმაღლით 50 მ და წარმადობით 6 მ<sup>3</sup>/საათში.

- შენიშვნა:
1. შესაძლებელია ანალოგიური პარამეტრების სხვა მწარმოებლის მიერ გამოშვებული ტუმბოების გამოყენება.
  2. ტუმბოს მართვის ბლოკი უნდა შეირჩეს ტუმბოსთან კომპლექტში.

ჭაბურღილის ტუმბოს ზუსტი პარამეტრები დადგინდეს მას შემდეგ, რაც მოხდება ჭაბურღილის პასპორტიზაცია.

### საპროექტო გადაწყვეტა

მოცემული პროექტი ითვალისწინებს სოფელ ბაითალოს ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილის მიმდებარედ საქლორატოროს და სანიტარული ზონის მოწყობას, ჭაბურღილში დამონტაჟდება ტუმბო, ავტომატური მართვის ბლოკით, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება წყლის მიწოდება ჭაბურღილის მიმდებარედ საპროექტო წყალსადაწნეო კომპში  $W=50$  მ<sup>3</sup> მოცულობით,  $H=10$ მ. საიდანაც წყალი მიეწოდება მოცემული უბნის საპროექტო გამანაწილებელ ქსელს. პროექტით გათვალისწინებულია საპროექტო უბანზე ახალი გამანაწილებელი ქსელის მოწყობა, პოლიეთილენის მილების მეშვეობით; მომხმარებლის მიერთება ხორციელდება 20 მმ PN-16 PE 100 SDR 21 მილებით; მრიცხველის კვანძის მოწყობა მოხდება პლასმასის ყუთში. ადგილობრივი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მრიცხველის კვანძის პოლიეთილენის ყუთი განთავსებულია მიწაში სიღმით 60 სმ.

(მოსახლეობის დაერთების კვანძების ადგილმდებარეობა დადგინდება მშენებლობის ეტაპზე, მას შემდეგ რაც გაითხრება ტრანშეა და დადგინდება მოსახლეობის განშტოებების ზუსტი ადგილმდებარეობა).

მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, კონტრაქტორმა ორგანიზაციამ სამუშაოები უნდა აწარმოოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებთან მჭიდრო კონტაქტში; საჭიროა მიწის სამუშაოებს დაესწროს შესაბამისი სამსახურების/კომპანიების წარმომადგენლები.

### საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა

ზოგადი მიმოხილვა

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქვემო ქართლში, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაითალოს მიდამოებში. სოფ. ბაითალო მდებარეობს მარნეულის ვაკეზე, მდინარე დეხედის (ხრამის მარჯვენა შენაკადი) ნაპირას. ზღვის დონიდან 350 მ სიმაღლეზე. ქალაქ მარნეულიდან დაშორებულია 20 კილომეტრით.

კლიმატური და მეტეოროლოგიური პირობები

მარნეულის რაიონი მოქცეულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქში და რელიეფის შესატყვისად ახასიათებს ჰავის ზონალურობა: ტერიტორიის უდიდეს ნაწილში ზომიერად თბილი სტეპების ჰავაა, იცის ცხელი ზაფხული. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 12 0C, იანვრის - 0-0.3 0C, ივლისის 23.9 0C; აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა \_ 25 0C, აბსოლუტური მაქსიმალური 40 0C. ნალექები \_ 490-550 მმ წელიწადში. ნალექების მაქსიმუმი მაისშია, მინიმუმი \_ დეკემბერში. იალლუჯის მაღლობზე, აგრეთვე ლოქის ქედსა და ბაბაკარის სერზე ჰავა რამდენადმე განსხვავებული \_ ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალია, იცის ცხელი ზაფხული. ლოქის ქედის კალთის მცირე მონაკვეთზე ჰავა ზომიერად ნოტიოა, იცის ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული.

ქვემოთმოყვანილ ცხრილებში და დიაგრამებზე წარმოდგენილია საკვლევი რაიონის კლიმატური მახასიათებლები მარნეულის მეტეოსადგურის მონაცემებით.

ცხრილი № 1. კლიმატური მახასიათებლები

ატმოსფერული ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა (°C)													
თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ
მარნეული	0,0	1,9	6,0	11,5	16,8	20,6	23,9	23,5	19,0	13,4	7,0	1,9	12,1
ატმოსფერული ჰაერის საშუალო წლიური მინიმალური ტემპერატურა (°C)													
მარნეული	-4,0	-2,6	1,1	6,2	11,0	14,4	17,6	17,3	13,3	8,1	2,9	-2,0	6,9
ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტური წლიური მინიმალური ტემპერატურა (°C)													
მარნეული	-25	-19	-15	-7	-1	4	7	7	-1	-7	-10	-21	-25
ატმოსფერული ჰაერის საშუალო წლიური მაქსიმალური ტემპერატურა (°C)													
მარნეული	5,5	7,6	11,9	17,8	23,0	27,0	30,3	30,3	25,5	19,8	12,4	7,5	18,2
ატმოსფერული ჰაერის აბსოლუტური წლიური მაქსიმალური ტემპერატურა (°C)													
მარნეული	20	23	27	31	34	37	39	40	37	33	27	24	40
ფარდობითი ტენიანობა (%)													
მარნეული	75	72	70	66	67	64	60	60	67	74	78	77	69
ნალექები (მმ)													
მარნეული	17	21	32	51	69	68	35	27	36	37	35	16	444
ქარის სიჩქარე (მ/წმ)													
მარნეული	1,6	2,0	2,2	2,3	2,0	1,9	1,9	1,8	1,7	1,5	1,2	1,2	1,8
ქარის მიმართულებების განმეორადობა (%)													
მარნეული	27	6	18	13	5	3	11	16	33	27	6	18	13

გეოლოგიური პირობები

მარნეულის რაიონის ტერიტორიის უდიდესი (ცენტრალური) ნაწილი უჭირავს მარნეულის აკუმულაციურ ვაკეს (ბორჩალოს ვაკე), რომლის სიმაღლეა 270-400 მ. სიგრძე \_ 40 კმ, უდიდესი სიგანე \_ 20 კმ. ჩრდილოეთით ესაზღვრება იაღლუჯის მაღლობი, სამხრეთით \_ ლოქის ქედი და ბაზაკარის სერი, აღმოსავლეთით \_ მდ. მტკვარი, დასავლეთით მიუყვება მაშავერის ხეობას ქ. ბოლნისამდე. ვაკე აგებულია მეოთხეული ალუვიური ნალექებით \_ კენჭნარით, კონგლომერატებით, ქვიშებითა და თიხებით. მდინარეთა გასწვრივ თანამედროვე ალუვიონია \_ კენჭნარი, ქვიშნარი. ვაკეზე არის აგრეთვე ჯავახეთის ზეგნიდან ჩამოსული ლავური ღვარის დამარხული ბოლო და აფშრონული და ბაქოური დროის თიხნარი. ვაკის ზედაპირი ბრტყელია, დასერილია მდინერეების ალგეთის, ხრამისა და დებედის ხეობებით. ზოგან თაბაშირიან თიხებში წარმოქმნილია სუფოზური ძაბრები, ჭები და ბუნებრივი ხიდები.

სეისმური პირობები

სეისმური პირობების მიხედვით ქვემო ქართლი ძირითადად განლაგებულია 7, 8 და 9 ბალიანი ზონის ფარგლებში (მსკ-64 სკალის შესაბამისად). რეგიონის უკიდურესი სამხრეთ -დასავლეთ ნაწილი მოქცეულია 9 ბალიან ზონაში. სეისმოლოგიური მონაცემებით დასტურდება აღნიშნული ზონის თანამედროვე ტექტონიკური აქტიურობა, რომელიც დიფერენცირებულად

არის გამოხატული და დამოკიდებულია საქართველოს ბელტის ამგები ცალკეული ბლოკის აქტიურობის ინტენსივობაზე.

საშიში გეოდინამიური პროცესები

ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე მეტნაკლებად გავრცელებულია ეროზიული, მეწყრული და ღვარცოფული პროცესები. შედარებით იშვიათია კლდეზვავები, ქვათაცვენა და დატბორვა.

ქვემო ქართლის დაბლობში და ძირითადი მდინარეების (მტკვარი, ხრამი, ალგეთი, და სხვ) ხეობების ჭალებში გვხვდება მდინარეთა ნაპირების გარეცხვა, დატბორვა და პერიოდული დაჭაობება. გორაკ-ბორცვიან და მთიან ტერიტორიაზე კი გავრცელებულია წყლისმიერი დახრამვითი და ირიგაციული ეროზია.

რეგიონის საშუალო ზონაში ადგილი აქვს ეროზიულ-გრავიტაციულ მოვლენებს, მთიან და მაღალმთიან ზონებში - ქვათაცვენა და კლდეზვავები. მეწყრული პროცესები სეზონურ ხასიათს ატარებს, რაც განპირობებულია ატმოსფერული ნალექების წლის განმავლობაში არათანაბარი განაწილებით. აქტიურობის პიკი ზაფხულზე მოდის. ღვარცოფული მოვლენები ძირითადად ფიქსირდება მდინარე მტკვრის შენაკადებში.

ქვემო ქართლის რეგიონში და მათ შორის მარნეულის მუნიციპალიტეტში საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების სტატისტიკა 1998 წლამდე მოცემულია ცხრილში №2.

ცხრილი № 2. გეოლოგიური პროცესების განვითარების სტატისტიკა

მუნიციპალიტეტი	სტიქიური გეოლოგიური პროცესები (რაოდენობა)							საშიშროების ზონაში მყოფი ობიექტები (რაოდენობა)	
	მეწყერი	ღვარცოფული ხევი	კლდეზვავი	ქვათაცვენა (უბანი)	მდინარეების ნაპირების გარეცხვა (კმ)	დატბორვა (ჰა)	თოვლის ზვავი	დასახლებული პუნქტები	საინჟინრო კომუნიკაციები
მარნეული	29	23	-	-	30	112	-	5	-

ჰიდროგეოლოგიური პირობები

ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით ქვემო ქართლი მდებარეობს კავკასიონის სამხრეთ ფერდის საზღვარზე და მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლური დამირვის ზონას.

აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნევიანი სისტემების ოლქი ხასიათდება აბსოლუტური ნიშნულების დიდი სხვაობით ზღვის დონიდან 0 მ-დან 3000 მ-მდე ცენტრალურ ნაწილში.

მთიანი სისტემის დრენირება ხდება შავი ზღვის აუზის და კასპიის ზღვის აუზის (მდ.მტკვარი) მდინარეების საშუალებით.

გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ცარცული კარბონატული წყება სიმძლავრით 1 კმ-მდე, ქვედა ეოცენურ-პალეოცენური ფლიშური წყება (1.5-2კმ), შუა ეოცენის ვულკანურ-დანალექი წყება (3-3.5კმ) და ზედა ეოცენის მერგელოვან-ქვიშაქვიანი ქანები (700მ). შედარებით ნაკლებ გავრცელებულია ოლოგოცენის და ნეოგენური ნალექები. ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულია მეოთხეული ასაკის ანდეზიტ-ბაზალტური ლავები. მრავალრიცხოვანი ინტრუზიული და მარდვული მაგმატური წარმონაქმნები ეოცენური ასაკით თარიღდება.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შუა ეოცენის ვულკანოგენურ-დანალექი და ზედა ცარცის კარბონატული წყებები, რომლებიც ნაპრალოური და ნაპრალოურ-კარსტული წყების ძირითად კოლექტორებს წარმოადგენენ. ქვედა ეოცენი-პალეოცენის ფლიშური წყება და ზედა ეოცენის მერგელოვანი ნალექები რეგიონალური წყალუპოვარი ქანების როლს ასრულებს, თუმცა ლოკალურ უბნებში წყალშემცველობა გააჩნიათ.

დანაწევრებული ნაოჭების არსებობა მთიანი რელიეფის პირობებში ხელს უწყობს წყალწნევიანი სისტემების წარმოქმნას.

ოლქის ჰიდროგეოლოგიურ თავისებურებებს წარმოადგენს: ქანების გაწყლიანების მაღალი მაჩვენებელი ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში, დაბალი მაჩვენებელი - აღმოსავლეთ ნაწილში; ცენტრალურ ნაწილში ფართოდ არის გავრცელებული ნახშირმჟავა მინერალური წყლები და სუსტამდინარელიზებული აზოტიანი თერმული წყლები. ოლქის აღმოსავლეთ ნაწილში კი გამოიყოფა მინერალიზებული ქლორიდულ-ნატრიუმის წყლების გავრცელების დიდი არეალი.

ქვემო ქართლის რეგიონში გამოიყოფა გარდაბნის, ქართლის ვაკის და მარნეულის არტეზიული აუზები.

მარნეულის არტეზიული აუზის ფარგლებში, ალგეთსა და ხრამის წყალთაშუეთში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იძირება ანდეზიტ-ბაზალტური ლავის დიდი ნაკადი. ლავა ინტენსიურადაა დანაპრალელებული და წყალს თავისუფლად ატარებს. ლავის ამ ნაკადის აღმოსავლეთი დამირული ნაწილი მეოთხეული ასაკის წყალგაუვალი ქანებითაა გადაფარული, ხოლო მისი დასავლეთი ნაწილი ჰიფსომეტრიულად მაღლა მდებარეობს და ძირითადად გაშიშვლებულია ლავის ნაკადის გამკვეთი მდინარეების ხრამის, ალგეთისა და სხვათა მიერ.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესაფასებლად მოხდა ადგილის ვიზუალური დათვალიერება, ასევე გამოყენებული იქნა ფონდური და სხვა მონაცემები. ვიზუალურად შეფასდა ადგილზე გაშიშვლებული ქანების ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლები

საველე კვლევების საფუძველზე, სამშენებლო მოედნის ლითოლოგიურ სტრუქტურაში გამოიყოფა ერთმანეთისგან განსხვავებული შედგენილობის, მდგომარეობისა და თვისებების 2 ფენა.

ქვემოთ მოცემულია თითოეული ფენის დახასიათება:

ფენა-1 - მოყავისფრო-ნაცრისფერი, ქვიშიან-მტვროვანი, წვრილი და საშუალო ზომის ხრეში. ხრეში არის მომრგვალებული და სუსტად მომრგვალებული და შეიცავს მცირე რაოდენობით კენჭებს. გენეტიკურად ხრეშის ეს ფენა დელუვიური და ალუვიური წარმოშობისაა (tQIV).

ყრილის ფენის სისქე მცირედ იცვლება და ძირითადად 1 მ-დეა. ფონდური მასალების მიხედვით ყრილის გრუნტი არის ხრეში ქვიშიან მტვროვანი, სუსტად თიხიანი, გარკვეული რაოდენობის კენჭებით. ფენის ტენიანობა დაბალია. საშუალო სიმკვრივე ფხვიერ მდგომარეობაში დაახლოებით  $\rho=1.9$  გრ/სმ<sup>3</sup>-ს შეადგენს.

ფენა-2 - სუსტად ტენიანი, მოყავისფრო, ხისტი, სუსტად ქვიშიანი, მტვროვანი თიხა, ქვიშის და

მტვრის თხელი ლინზებით. აღნიშნული ფენა ალუვიური წარმოშობისაა (aQIV). ფენის სისქე, შეადგენს დაახლოებით 2 მ-ს. ფონდური მასლების მიხედვით აღნიშნული ფენის ფიზიკური თვისებების ძირითადი პარამეტრების საშუალო მნიშვნელობები შეადგენს:

პლასტიკურობის რიცხვი  $I_p=0.119$ ;

კონსისტენციის მაჩვენებელი  $IL=-0.91$ ;

ბუნებრივი ტენიანობა  $W=11.6\%$ -ს;

სიმკვრივე  $p=1.70$  გრ/სმ<sup>3</sup>

ამრიგად, ვაანალიზებთ რა ჩატარებული კვლევებით მიღებულ მონაცემებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ სამშენებლო მოედანზე სასმელი წყლის  $V=50\text{მ}^3$  სადაწნეო კოშკისა და წყალსადენი მაგისტრალის მშენებლობა იწარმოებს დამაკმაყოფილებელ პირობებში და უარყოფით შედეგებს არ გამოიღებს.



## მშენებლობის ძირითადი სამშენებლო მასალით, ნაკეთობებით და ნახევარფაბრიკატებით უზრუნველყოფის წყაროები.

მოწოდებული სამშენებლო მასალები უნდა იყოს სერტიფიცირებული. შემოტანილი სამშენებლო მასალები და ნაკეთობების უნდა შესაბამებოდეს სერტიფიკატების შესაბამისობა და ხარისხი წარმოადგენენ საშემსრულებლო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს.

მასალების და ნაკეთობების ღირებულება განისაზღვრება პირდაპირი ხელშეკრულებით დამკვეთსა და ქარხანა-დამამზადებელს ან ფირმა-მომწოდებელს შორის.

მასალების ტრანსპორტირება სრულდება ავტოტრანსპორტით.

## მშენებლობის წარმოების ორგანიზაციის წინა პირობები

სამშენებლო სამუშაოები უნდა ჩატარდეს СНиП 3.01.01-85 «Организация строительного производства», ნაწილი 9-ს `მშენებლობის წარმოების მოთხოვნები ობიექტის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პირობებისათვის` თანახმად. მშენებლობის წარმოების ორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებს: სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობას.

## სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო ღონისძიებათა მოკლე დახასიათება

წყალმომარაგების სისტემის მოწყობის ძირითადი საპროექტო ღონისძიებების დეტალური აღწერილობა მოყვანილია საერთო განმარტებით ბარათში.

## სამშენებლობის განხორციელების გეგმა.

ავტოსატრანსპორტო ქსელი რაიონში კარგად არის განვითარებული. წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოების მშენებლობისათვის აუცილებელი ქვიშა ღორღის შემოზიდვა უნდა მოხდეს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერებიდან.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა განხორციელების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა, გამომდინარე შესაბამისი ნორმატიული მონაცემების და მოცულობებიდან, მოყვანილია

სამუშაოთა შესრულების კალენდარულ გრაფიკში, რაც საფუძველად უდევს მშენებლობის მატერიალურ და შრომითი რესურსების განაწილებას.

სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოებისათვის მიღებულია მუშაობის სტანდარტული რეჟიმი: 8 საათიანი სამუშაო დღე, კვირაში 5 და თვეში 23 სამუშაო დღე.სამუშაოთა მოცულობების, მიღებული ტექნოლოგიების და განხორციელების პირობების საფუძველზე შედგენილია მშენებლობის კალენდარული გრაფიკი და განსაზღვრულია მშენებლობის ხანგრძლივობა, რაც შეადგენს 125 სამუშაო დღეს მოსამზადებელი პერიოდის (5-დღე) ჩათვლით-სულ 130 სამუშაო დღეს, რაც შეადგენს 180 კალენდარულ დღეს არა სამუშაო დღების გათვალისწინებით (შაბათ-კვირის და დღესასწაულების გამოკლებით).

კონტრაქტორის სიმძლავრეების გათვალისწინებით, დამკვეთს შესაძლებლობა ეძლევა მოითხოვოს სარეაბილიტაციო სამუშაოების ხანგრძლივობის შემცირება დღის სამუშაო საათების გაზრდის, ან ორცვლიანი სამუშაო რეჟიმის გამოყენებით.

სარეაბილიტაციო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მ. შ. СНиП 3.01.01-85 “Организация строительного производства”, СНиП 3.02.01-83 და СНиП 3.05.04-85 “Наружные сети и сооружения водоснабжения и канализации” მოთხოვნათა დასაშვები გადახრებით, აგრეთვე უწყებრივი ტექნიკური პირობების, ინსტრუქციების და რეკომენდაციებით.

## მშენებლობის გრაფიკი

ქვემოთ მოყვანილია შერჩეული წყალსადენის ქსელის მოწყობის სავარაუდო სამშენებლო გრაფიკები. აღნიშნულ სამუშაოთა შორის ყველაზე მეტი დრო ესაჭიროება წყალსადენის ქსელის მოწყობას და მიწის სამუშაოების მშენებლობას, რაც ფაქტიურად განაპირობებს მშენებლობის საერთო ხანგრძლივობას. როგორც გრაფიკებიდან ჩანს, წყალსადენის ქსელის მშენებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 180 დღეს.

სამუშაოთა წარმოების კალენდარული გრაფიკი																																					
წყალსადენის სისტემის მოწყობა 180 კალენდარული დღე																																					
№	სამუშაოთა ჩამონათვალი	I ტვე						II ტვე						III ტვე						IV ტვე						V ტვე						VI ტვე					
		კვირა																																			
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26										
1	სამშენებლო ობიექტზე შესვლა და მობილიზაცია																																				
2	მიწის სამუშაოები																																				
3	წყალსადენის ქსელის და გამანაწილებელი კვანძების მოწყობა, დეზინფექცია და ჰიდრაულიკური გამოცდა																																				
4	კაბურღილის რეაბილიტაცია																																				
5	საქლორატორის მოწყობა																																				
6	წყალსადაწნეო კომპის მოწყობა																																				
7	ზედმეტი გრუნტის და ტერიტორიის დასუფთავება																																				

**მშენებლობის მართვის ორგანიზაცია**

სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია, სამუშაოთა მართვა და მისი შესრულების შემოწმება ევალება გენერალურ მენარდე ორგანიზაციას და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მშენებლობის ზედამხედველობით სამსახურს.

საპროექტო დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ მენარდე ორგანიზაცია მოცემული პროექტის საფუძველზე თავის ძალებით ამუშავებს სამუშაოთა წარმოების ჟურნალს და საქართველოში მომქმედი სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამის დოკუმენტაციებს (ფორმა 2 და სხვა).

სამუშაოთა წარმოების ჟურნალი და სხვა დოკუმენტაციები შეთანხმებულ უნდა იქნეს დამკვეთან და ზედამხედველობით სამსახურთან ასევე სამშენებლო დოკუმენტაციაში დაზუსტებული უნდა იქნას სამუშაოთა შესრულების ხანგრძლივობა, სამუშაოთა წარმოების ეფექტური მეთოდები, უსაფრთხოების, ჯანდაცვის, ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის დაცვის წესები.

**სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგია**

**მიწის სამუშაოები**

მიწის სამუშაოების დაწყებამდე იმ ადგილებში სადაც არსებობს მიწისქვეშა კომუნიკაციები, იმ ორგანიზაციასთან ერთად ვინც უწევს ექსპლუატაციას ამ კომუნიკაციებს, დამუშავდეს შრომის უსაფრთხოების პირობები და კომუნიკაციების არსებობისას ადგილზე დაიდგას ნიშანი.

მიწისქვეშა კომუნიკაციების ზონაში სამუშაოების წარმოებას უნდა ესწრებოდეს სამუშაოთა მწარმოებელი

მიწისქვეშა კაბელების ან მომქმედი გაზის მილის ზონაში, რომელიც იმყოფება ძაბვის ქვეშ, მიწის სამუშაოების დროს აუცილებელია ესწრებოდეს ელექტრო ან გაზის მეურნეობის წარმომადგენელი.

მიწის სამუშაოების შესრულების დროს თუ არმოჩენილი იქნა ფეთქებადსაშიში მასალა, სამუშაოები სასწრაფოდ უნდა შეწყდეს და ეცნობოს სათანადო ორგანოს.

გზის გასწვრივ თხრილის მოწყობის დროს თხრილი უნდა იყოს შემოფარგლული. შემოფარგლული კონსტრუქციაზე აუცილებელია იყოს გამაფრთხილებელი წარწერა ხოლო ღამით სასიგნალო განათება.

თხრილზე სადაც ადამიანები გადადიან უნდა მოეწყოს გადასასვლელი რომელიც ღამით იქნება განათებული.

თხრილიდან ამოღებული გრუნტი უნდა განლაგდეს არანაკლებ 0.5 მ დაშორებით თხრილის ნაპირიდან.

ავტოთვიტმცლელზე გრუნტის დატვირთვა უნდა მოხდეს მანქანის უკანა ან გვერდითა ბორტიდან.

**ბეტონის სამუშაოები**

ბეტონის ჩასხმამდე შემოწმდეს ყალიბი თუ რამდენად მდგრადად არის მოწყობილი

ბეტონი ჩასხმამდე კარგად უნდა იქნეს მორეული და დაცული უნდა იქნას ბეტონის მარკიანობის დოზირება

ბეტონს ჩასხმის დროს უნდა გაუკეთდეს ვიბრირება რადგან ჩასხმის შედეგად გამოწვეული ფორები შევსებულ იქნეს ვიბრირების საშუალებით

კლიმატურ რთულ პირობებში ანუ ყინვის პერიოდში ბეტონის დანამატად გამოყენებული იქნეს ყინვის საწინააღმდეგო დანამატები ანტიფრიზი და სხვა.



ბეტონის ჩასხმის პერიოდში დამზადებული იქნას ბეტონის კუბიკები ზომით 10X10X10 სმ შემდგომ ლაბორატორიული გამოცდის შედეგად დადგენილ იქნას ბეტონის მარკირება თუ რამდენად შესაბამება საპროექტო მონაცემებს.

ყალიბის მოხსნა განხორციელდეს ბეტონის გამაგრების შემდეგ და არანაკლებ 14-21 დღისა.

### ელექტრო მეურნეობა

ობიექტზე ელ.ენერგიით მომარაგება სასურველია განხორციელდეს დიზელ გენერატორის მეშვეობით ან და მშენებელი ორგანიზაციის მიერ შეთანხმებულ უნდა იქნეს შესაბამის ორგანოსთან თუ რომელ ადგილზე სურს ელ.ენერგის კვების წყაროს აღება.

ელ. მოწყობილობები არასამუშაო საათების პერიოდში დასაწყობებულ უნდა იქნეს გადახურულ ადგილას ისე რომ თავიდან აცილებულ იქნას მისი დასველება ან დანესტიანება.

მუშაობის პერიოდში დაცული უნდა იქნას ელ. მოწყობილობების მოხმარების წესები და წვიმიანი ამინდის პერიოდში თავიდან არიდებულ უნდა იქნეს ელექტრო სამუშაოების წარმოება ხოლო გამოუვალ შემთხვევაში სამუშაოები უნდა განხორციელდეს ობიექტზე მიმაგრებული ელ. ინჟინერის მეთვალყურეობის ქვეშ.

### მილსადენის თბოიზოლაცია

მილების შეფუთვის დროს მუშა პერსონალი უნდა იყოს აღჭურვილი რესპირატორით და დამცავი სათვალთ.

მინაქსოვილი მიწოდებული უნდა იყოს სამუშაო ადგილზე პაკეტებში ისე რომ მისი მტვერი გარემოში არ გავრცელდეს.

მინაქსოვილის დამაგრების შემდეგ მის ზედაპირზე არ უნდა იყოს დამაგრებული მავთულის გამონაშვებები.

### სამედიცინო მედპუნქტი

მშენებელი ორგანიზაცია ვალდებულია სამშენებლო ობიექტზე ჰქონდეს პირველადი სამედიცინო აღჭურვილობა კერძოდ (მარლა, ბამბა, იოდი და სხვა პირველადი მოხმარების სამედიცინო აღჭურვილობა).

### მუშა პერსონალის განთავსება

რადგან პროექტი არა რის მაშტაბური მშენებელ ორგანიზაციას მუშა პერსონალი შეუძლია განთავსოს ადგილობრივ მოსახლეობაში.

### სამუშაოთა შესრულების ხარისხის საწარმოო შესრულება

მოქმედი ნორმატივების თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ხარისხის საწარმოო შესრულება ჩვენ შემთხვევაში მოიცავს:

- მიღებული მასალების სერთიფიკატების შემოწმებას;
- ცალკეული სამშენებლო საწარმოო ოპერაციული პროცესების შემოწმებას;
- სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის შემოწმებას;

შემოსული მუშა დოკუმენტაციის შემოწმება წარმოებს მისი კომპლექტურობის, სამუშაოთა წარმოებისთვის საჭირო ტექნიკური ინფორმაციის საკმარისობის და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების თვალსაზრისით.

მიღებული მასალის შემოწმება წარმოებს დათვალიერებით, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი შესაბამის სტანდარტებს ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტებს და საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, აგრეთვე მოწმდება პასპორტების, სერთიფიკატების არსებობა და მონაცემების შესაბამისობა საპროექტო გადაწყვეტილებასთან.

სამუშაოთა შესრულების პროცესი ან წარმოების ოპერაციები მოწმდება ოპერატიული შემოწმებით და უნდა უზრუნველყოს დეფექტების დროული გამომჟღავნება და მათი გასწორება

ცალკეული სამშენებლო საწარმოო პროცესების ოპერატიული შემოწმებით დგინდება მათი შესრულების ტექნოლოგიური შესაბამისობა მუშა პროექტთან, სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სტანდარტებთან მიმართებაში.

სამუშაოთა წარმოების პროექტის შემადგენლობაში დამუშავებული ოპერატიული შემოწმების სქემები, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს კონსტრუქციის ესკიზებს დასაშვები გადახრების სიდიდის ჩვენებით, ოპერაციების ჩამონათვალს, სამუშაოთა მწარმოებლის მიერ

